

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65
წელი

9 თებერვალი 2021

15: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი-**ვანდა გიორგაძე;**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

3.„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს: ვანდა გიორგაძე

4.„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2021 წლის (იანვარი -სექტემბერი) სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაიძე

5.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა, რომ „წერილობით მოგვმართა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ-სოზარ სუბარმა, რათა მიგველო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი, შესაბამისად წარმოგიდგინო დადგენილების პროექტს, რომელიც განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

საჯარიმო ქვითარი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესით დადგენილი წესით, საჯაროდ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N2/

გადაწყვეტის: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოსმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის N2685 განკარგულებით ვანის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 208 187 ლარი.

- ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 749327 ლარს;
- ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-441279 ლარს;
- ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია 321536 ლარი.

სულ ამ პროექტების ღირებულება 1 512 142 ლარი. 2021 წლის 4 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერები:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N3/

გადაწყვეტის: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულსი და ქ. ვანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის შესყიდვების ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღება დამთავრდა 2021 წლის 26 იანვარს, გამოვლინდა დაბალფასიანი პრეტენდენტი შპს “Georgian build”, რომლის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასი 751000ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N4/

გადაწყვეტის: წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2021 წლის (იანვარი -სექტემბერი) სამუშაო გეგმა.

განსახილველად მოსამზადებელი საკითხები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ (იანვარი-სექტემბერი);

2. ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ (იანვარი-თებერვალი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ (თებერვალი-მარტი);
4. მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ (თებერვალი-მარტი);
5. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ (მარტი-ივნისი);
6. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ (მარტი-სექტემბერი);
7. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის და პარკირების წესების დადგენის შესახებ (მაისი-სექტემბერი);
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღების შესახებ (იანვარი-სექტემბერი);
9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულების შესახებ (იანვარი-სექტემბერი);

მოსამენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი-მარტი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი-აპრილი);
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის განხილვა 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მარტი-ივნისი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (მარტი-სექტემბერი);
5. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, სექტემბერი).

კომისიის წევრებმა მოიწონეს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2021 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად .

/დანართი N5/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაიძე
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე